ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრის

ნ ი ნ ო რ უ ხ ა ძ ი ს

ანგარიში

2019

(საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წლის 23 ივლისი - 31 ოქტომბერი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მანდატი მომენიჭა 2019 წლის 23 ივლისს.[1] აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2019 წლის 23 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე.

საანგარიშგებო პერიოდში ჩემი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

1. **საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა**. საკრებულოს სხდომებზე დასასწრებად ვეცნობოდი შესაბამისი სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს, საკითხებში უფრო სიღრმისეულად გარკვევის მიზნით ვსწავლობდი დამატებით ინფომაციას, წამოჭრილ კითხვებსა და პრობლემურ საკითხებზე გავდიოდი კონსულტაციებს შესაბამის პირებთან და უწყებებთან.

2. **საკრებულოს კომისიების სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.** კომისიების ფარგლებში ჩემი საქმიანობა ძირითადად უკავშირდება ორ კომისიას- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიას, რომელთა წევრიც გავხდი ქ. თბილისის საკრებულოს წევრის სტატუსის მოპოვების დღიდან. აღნიშნული კომისიების ფარგლებში სისტემატურად ვესწრებოდი კომისიების სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებს, მონაწილეობას ვღებულობდი საკითხების განხილვასა და განხილულ საკითხებთან დაკავშირებით გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯებისა და მონიტორინგის დაგეგმვაში, სამართლებრივი აქტების პროექტების ანალიზში. კერძოდ,

   2.1 <u>იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის ფარგლებში</u>:

   ვესწრებოდი კომისიის სხდომებს და სამართლებრივ ანალიზს ვაწარმოებდი თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებთან მიმართებაში.

   2.2 <u>ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის ფარგლებში</u>:

   - ✓ დავესწარი კომისიის სხდომას, რომელიც ეძღვნებოდა თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის მიმდინარეობის, განხორციელებული და დაგეგმილი ინიციატივების მიმოხილვას;

[1] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 ივლისის განკარგულება #196.

- ✓ მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრაში, რომელიც დაეთმო უძრავი ქონების და სასტუმრო ბიზნესის საერთაშორისო ყოველწლიურ ფორუმს - "მდგრადი და მედეგი ქალაქების მშენებლობა". აღნიშნული ფორუმი შეიძლება განვითარდეს როგორც ღირებული პლატფორმა და პროფესიონალური ქსელი თბილისის ხელისუფლებისა და კერძო ინვესტორების თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, არქიტექტურული და საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად;

- ✓ მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრაში, რომელზეც მოწვეული იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირინა წეროძე. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს პროფესიული განათლების შეთავაზების საკითხები და თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.გამოითქვა მოსაზრება, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფილ იქნეს პროფესიული განათლების მორგება მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე და მისი პოპულარიზაცია მოსახლეობაში, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეების დასაქმებას ქალაქების/რაიონების ინფრასტრუტურულ, ლოჯისტიკურ და სხვა სახის პროექტებში;

- ✓ მონაწილეობა მივიღე სამუშაო შეხვედრაში, რომელზეც თბილისის

  დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიისადა თბილისის მერიის

  მუნიციპალური სერვისებისგან ვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა სატრანსპორტო სქემასა და სერვისების მისაწვდომობის განვითარებაზე საკუთარი ხედვა წარმოადგინეს.

3. **ფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" საქმიანობაში მონაწილეობა.**სექტემბერში ამირჩიეს ფრაქციის მდივნის თანამდებობაზე. შედეგად ჩემი პასუხისმგებლობის სფეროში შედის ფრაქციის ორგანიზაციული და ყოველდღიური მუშაობის ხელშეწყობა.

4. **საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლობებში მოსახლეობასთან შეხვედრა.** საანგარიშგებო პერიოდში დავესწარი მოსახლეობასთან შეხვედრებს ჩუღურეთის მაჟორიტარის, რიმა ბერაძისა და ისნის მაჟორიტარის, ნინო ლაცაბიძის წარმომადგენლობებში. მოსახლეობასან შეხვედრებში მონაწილეობის მიზანი იყო მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის გზით პირველწყაროდან შემეტყო მათი პრობლემების შესახებ; გავცნობოდი მაჟორიტარების მიდგომებს ამ პრობლემების მოგვარების საქმეში და საჭიროების შემთხვევაში გამეწია მათთვის სამართლებრივი კონსულტაცია.

5. **ეროვნული უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღება.** ისტორიულად თბილისი მრავალეთნიკური ქალაქია, რომლის კულტურულ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ თბილისში მცხოვრები ეთნიკური/ეროვნული უმცირესობები. ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის წარმატებისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ისეთი სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც დაფუძნებული იქნება ინტეგრაციული პატრიოტიზმის იდეაზე და ხელს შეუწყობენ ეროვნული ერთიანობის განვითარებას.ამავდროულად, ჩვენი ქალაქის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უაღრესად მნიშნელოვანი გავლენა ქალაქის პროგრესულ განვითარებასა და რეგიონში წამყვანი ქალაქის სტატუსის დამკვიდრებაზე.

   თბილისის საკრებულოში ფრაქცია "ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ეგიდით ფუნქციონირებს ეროვნული უმცირესობების საკორდინაციო საბჭო. საბჭოს მიზანია ეთნიკურ უმცირესობებთან ინტენსიური თანამშრომლობისა და მათი ჩართულობის გაზრდა ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროში. საანგარიშგებო პერიოდში დავესწარი ეროვნული უმცირესობების საკორდინაციო საბჭოს სხდომას და მომავალში ჩემი ინტერესია, ამ საბჭოს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, რათა ჩემი წვლილი შევიტანო საქმეში, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქალაქის ეთნიკური უმცირესობების ნიჭის, პოტენციალისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას ქალაქისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

6. **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების საკითხებზესამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობა.**თბილისის საკრებულოსფრაქციის "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია იმსჯელოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების საკითხთან დაკავშირებით წამოყენებულ ინიციატივაზე. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განვიხილავთ, თუ რა შესაძლებობები არსებობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

7. **საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფების ანგარიშების პრეზენტაციაზე დასწრება.**თბილისის საკრებულოში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის წევრიც გავხდი საკრებულოს წევრის სტატუსის მოპოვებისთანავე.

   თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორმათემატურმა ჯგუფმა გამართა პრეზენტაცია საკუთარი კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდ აშემდეგ აქტუალურ საკითხებს - "სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობა" და "პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის". თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად დავესწარი აღნიშნულ პრეზენტაციას და წარმოდგენილი კვლევის შედეგები სადაც რეკომენდაციების გათვალისწინებით შემდგომშიც მივიღებ მონაწილეობას იმ აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც ანგარიშებიდან გამომდინარე მუნიციპალურ დონეზეა გასატარებელი.